13/09/2024

MES 0 24 0001121220

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 9 სექტემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- თათია გივიშვილი;
- ნანა ვერულაშვილი;
- ნინო თამაზაშვილი;
- ნინო ძნელაძე;
- თამთა კვინიკაძე;
- ნათია ბუთხუზი;
- ელენე კაკაბაძე;
- ვახტანგ კახნიაშვილი;
- მანანა მახარაშვილი;
- გიორგი კაკაშვილი;
- გიორგი კაკაშვილი;
- ქეთევან ჯანელიძე;
- დავით გუდაძე;
- ქეთევან ბოტკოველი;
- თათია გივიშვილი;
- პაატა ცაგარეიშვილი;
- ირმა არსენაშვილი;
- მზია ბაკურიძე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს არსი
დირექტორი - ნათია ნოზაძე;

ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტი
დირექტორი - ნანა ჯოლია;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი - გიორგი ოკრიბელაშვილი;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნანა შარაბიძე;

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
რექტორი - სერგო ტეფნაძე;
რექტორის მოადგილე - ემზარ ბარბაქაძე;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - დავით ტეფნაძე;
პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი - ბექა ბუიძე;

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის „კონსტრუქტ2"
დირექტორი: თამარ ზაქარაშვილი;
დირექტორის მოადგილე - თამთა კვინიკაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - ელისო ჯიქიძე;

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი
დირექტორი - მამუკა ჭყონია;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნატალია ბარათელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს არსში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს არსში „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" მიერ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ "რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ „მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

9. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ის მიერ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
11. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
12. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
13. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
14. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს არსში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, დარგის ექსპერტი თათია გივიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და მიმდინარე წლის 06 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი შპს არსში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ახალი პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებს. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ცენტრის 2024 წლის 13 აგვისტოს კორესპონდენციით. დაწესებულება იზიარებს ექპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და გაითვალისწინებს საქმიანობაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, **თუმცა რეკომენდებულია:** 1. დაწესებულებამ გადახედოს არსებული კოოპერაციული ხელშეკრულების ნიმუშს და მოიყვანოს შესაბამისობაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნებთან; 2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს კოოპერაციული სწავლების პროცესში ჩართული სუბიექტის შეფასების წესი, განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და გამოიყენოს პრაქტიკაში.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, **თუმცა რეკომენდებულია** კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით

განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, **თუმცა რეკომენდებულია** დაწესებულებ ას უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეში „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ცნობის განთავსება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც და კლინიკური სწავლების პროცესში პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი A, ერთი AC და ერთი B გარემო, მათ შორის: A სასწავლო გარემოში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 22 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის 1 სამუშაო ადგილი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 132-ს, რომელსაც გადაანაწილებს 3 წლის მიღებაზე, თითო წელს 44 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას მოუწევს ჯგუფების გაყოფა საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდულის განხორციელებისთვის, ვინაიდან B სასწავლო გარემოში სულ 11 სამუშაო ადგილია. A და AC სასწავლო გარემოში ორ ცვლაში სწავლებით შესაძლებელია 88 პროფესიული სტუდენტის სწავლება (პირველი და მეორე წლის ჩარიცხვა), ხოლო მესამე წლის ჩარიცხვა სასწავლო პროცესს გააგრძელებს კლინიკების ბაზაზე, მათ შორის კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა კვოტის გაზრდის მიზნით 3 კლინიკასთან სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“, სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“, სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო გააფორმა ახალი ხელშეკრულება, ხოლო ორ კლინიკასთან შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, შპს „კლინიკა რუსთავი“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილებები და გაზარდა პრაქტიკის ობიექტზე დასაშვებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ზემოაღნიშნულის მიხედვით, კოლეჯს სულ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებთან: შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური, ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „კლინიკა რუსთავი“, შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება“, შპს„ჯეო ჰოსპიტალი“, სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“, სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“, სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ცვლაში სწავლების პრინციპით და სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში კოლეჯში დარეგულირებულია სასწავლო პროცესის 21:00 საათამდე მიმდინარეობის შესაძლებლობა. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ცვლაში მუშაობის განრიგზე თანხმობის ხელმოწერილი ფორმა, რის მიხედვითაც დასტურდება საღამოს საათებში პროფესიული სტუდენტებისთვის თითქმის ყველა ადმინისტრაციული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლები მასწავლებელი, მათ შორის 7 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. კლინიკური სწავლების მიზნებისათვის დაწესებულების მიერ

განსაზღვრულია 23 მენტორი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 6 მოქმედი ექთანი და თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ჰქონდათ, თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს არსს(ს/კ: 216427999) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 132 -ით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

მეორე საკითხი: შპს არსში „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, დარგის ექსპერტი, ნანა ვერულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N 764196 ბრძანების (27.06.2024წ.) საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და მიმდინარე წლის 05 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი შპს არსში (მის: ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ. №12) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ახალი პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ცენტრის 2024 წლის 13 აგვისტოს კორესპონდენციით. დაწესებულება იზიარებს ექპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და გაითვალისწინებს საქმიანობაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, **თუმცა რეკომენდებულია:** 1. დაწესებულებამ გადახედოს არსებული კოოპერაციული ხელშეკრულების ნიმუშს და მოიყვანოს შესაბამისობაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნებთან; 2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს კოოპერაციული სწავლების პროცესში ჩართული სუბიექტის შეფასების წესი,

განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და გამოიყენოს პრაქტიკაში. 3. აზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა C სასწავლო გარემოში (ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია).

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, **თუმცა რეკომენდებულია** კოლეჯმა შეიმუშავოს შიდა პროცედურული დოკუმენტი, რის მიხედვითაც გაიანგარიშებს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემას, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. **თუმცა რეკომენდებულია:** 1. დაწესებულებამ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლება სწავლების, შეფასებისა და შესასრულებელი უფლება-მოვალეობების ნაწილში. 2. პერსონალის პირად საქმეში განათავსოს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია“

ექსპერტის განცხადებით, ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე გათვალისწინებულია: ერთი A სასწავლო გარემო, ერთი B გარემო და ერთი A/C გარემო - საფთიაქო-ბიოლოგიური ლაბორატორია. 1 C სასწავლო გარემო - ქიმიურ - ტექნოლოგიური ლაბორატორია სულ 16 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. ორ ცვლაში სწავლებისა და წელიწადში 40 პროფესიული სტუდენტის მიღების პირობით, დაწესებულება შეძლებს A და A/C სასწავლო გარემოში (20 და 22 ადგილი) პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას, ხოლო C სასწავლო გარემო - ლაბორატორიასა და B სასწავლო გარემოში დაწესებულებას მოუწევს ჯგუფების გაყოფა მოცემულ ლაბორატორიებში არსებული სამუშაო ადგილის მიხედვით. გარდა კოლეჯში არსებული სასწავლო ფართისა, ,,ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 9 მოდულის სწავლება გათვალისწინებულია პარტნიორი ფარმაცევტული ორგანიზაციების ბაზაზე. კერძოდ, შემდეგ პარტნიორ კომპანიებთან: შპს ,,ავერსი - ფარმა“, შპს „გეფა“, შპს „იმპექსი“. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული იყო, რომ პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სასწავლო დატვირთვა ჯამში შეადგენდა 261 საათს, რაც ნაკლებია პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგების სასწავლო დატვირთვის ჯამური ოდენობისა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს და დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დათვლილი საათების ჯამურ ოდენობაში არ შედიოდა შეფასების საათები და „სანიტარიულ- ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ მოდულის მესამე და მეოთხე სწავლის შედეგები, რაც ჩაითვალა ტექნიკურ შეცდომად, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას შეაფასოს პროფესიული სტუდენტები, რისთვისაც ლოგიკურია გამოყოფს შესაბამის საათებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა, საბჭოს წევრებს ჰქონდათ, თუ არა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ვინაიდან დღეის მონაცემებით ბოლომდე არ აქვს კოლეჯს არსებული კვოტა ათვისებული, რატომ დასჭირდათ მათ დამატებით კვოტის გაზრდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯი სრულად ითვისებს კვოტას სასწავლო წლის დასაწყისში, თუმცა სტუდენტები პირადი პრობლემების, თუ ვითარების გამო ვეღარ აგრძელებენ სწავლას და უჩერდებათ სტატუსი. აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. მისი განცხადებით, კოლეჯს აქვს იმის რესურსი, რომ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის სრულად წარმართვა, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციები და შრომის ბაზრის წარმომადგენლებიც აქტიურად გამოხატავენ სურვილს, ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, დაეზუსტებინა, თუ რა არ ჰქონდა კოლეჯს ხელშეკრულებაში სრულად ჩაწერილი, ვინაიდან გაიცა რეკომენდაცია სრულად ყოფილიყო ასახული 416-ე დადგენილების პირობები ხელშეკრულებაში.

ექსპერტის განმარტებით, მათ ვერ ნახეს 416-ე დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად კოოპერაციულ სწავლებაში ჩართული ობიექტის შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისად გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ჩაეწერა კოლეჯს ხელშეკრულებებში აღნიშნული ინფორმაცია. მისი თქმით, ფარმაციის პროგრამაში, როგორც წესი დაწესებულებებს 8 მოდული აქვთ გატანილი პრაქტიკის ობიექტზე, ხოლო ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც პრაქტიკის ობიექტზე მეცხრე მოდულიცაა გატანილი, კერძოდ „ფარმაკოლოგიის“ მოდულის პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მოიცავს ნახევრ კრედიტს. ექსპერტებმა მოითხოვეს ამ მოდულის პრაქტიკული ნაწილის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება, რაზეც დაწესებულების მხრიდან ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი, ამის შემდეგ სიღრმისეულად იქნა შესწავლილი ხელშეკრულება და ექსპერტთა ჯგუფმა ითხოვა 416-ე დადგენილების შესაბამისად შედგენილიყო ხელშეკრულება და პედაგოგებისთვის კვალიფიკაცია აემაღლებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გამოეთქვათ განხილული საკითხის მიმართ თავისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მომართვიანობა მაღალია და კოლეჯი ხარისხიანად ახორციელებს პროგრამებს. რაც შეეხება, ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, დაწესებულება ფიქრობს, რომ ძირითადი პარამეტრები, რაც შეეხება 416-ე დადგენილებას, ხელშეკრულებებში ასახულია, ასევე, კოლეჯს შემუშავებული აქვს პრაქტიკის ობიექტის შეფასების წესი, თუმცა არ იყო დასაზუსტებელი დეტალები. მისი თქმით, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება თოთოეული მოდულისთვის განკუთვნილი რესურსის ფლობის და სტუდენტის ამ რესურსით უზრუნველყოფუს ვალდებულება, ასევე, საკვალიფიკაციო გამოცდაში ჩართვა, შესაბამისი კვალიფიციური კადრით პროგრამის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კოლეჯს ცალ-ცალკე დანართებად აქვს წარმოდგენილი და არა ერთიანი დოკუმენტის სახით, რაც ვიზიტის დროს მოითხოვეს ექსპერტებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისთვის „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს არსს(ს/კ: 216427999) დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გიორგი ვეკუა

მესამე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" მიერ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ ,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 9 ივლისის N 838450 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2024 წლის 29 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში (მისამართი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორაბერეჟოული) ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას და შესასწავლ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 5. დაწესებულება ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსებს აღრიცხავს მხოლოდ ელექტრონულად, Excel - ის ფორმაში, რომელიც არ იძლევა რესურსების ერთიანი სისტემატიზაციის შესაძლებლობას, ასევე მაღალია აღრიცხული ფონდის წაშლისა და დაკარგვის რისკები. ექსპერტთა ჯგუფის **განმავითარებელი რეკომენდაციაა,** კლასიფიცირების, დაცულობისა და სანდოობის მიზნით, დაწესებულებამ დანერგოს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (მაგალითად , OpenBiblio ან სხვა).

2.3.1 1. დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N04-171 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები. .კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს პროგრამათა დანერგვის პროცესს. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს არამხოლოდ სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას, არამედ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებას და განვითარებას ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის შესაბამისად. დაწესებულებას ეძლევა **განმავითარებელი რეკომენდაცია** შეცვალოს მარეგულირებელი დოკუმენტის სახელი და ჩამოაყალიბოს იმგვარად, რომ პასუხობდეს დოკუმენტის შინაარსს და დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს.

2.4.2 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ ვალიდაციას გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელი. ამავე წესის 41-ე მუხლში შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ ვალიდაციას ახდენს ვალიდაციის ჯგუფი. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა რომ შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ ვალიდაციას გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, ხოლო შინაარსობრივ ვალიდაციას, ვალიდაციის ჯგუფი.

დაწესებულებას ეძლევა **განმავითარებელი რეკომენდაცია,** შეიტანოს ცვლილება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა ჩამოაყალიბოს ერთი მიდგომით, დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,სატყეო საქმე“

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე, სადაც პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული აქვს შემდეგი გარემოები: A სასწავლო გარემო, B სასწავლო გარემო და C სასწავლო გარემო. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია ჯგუფში 15-ით, ორგანიზაციას ჯამში შეუძლია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატყეო საქმე“ განახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათგან 5 განსაზღვრულია ზოგადი , ხოლო 4 პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატყეო საქმე“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით თანამშრომლობს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ზოგიერთი მოდულის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ფართზე (კოლეჯის ეზო სულ 11110 კვ.მ ,ტყის ფართობი 1500 კვ.მ), სადაც გაშენებულია ტყის მასივი. აქ წარმოდგენილია წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები. კოლეჯს ასევე აქვს ეზოში დახურული გრუნტი 100 კვ.მ. აღნიშნული ინფორმაცია მოცემული და დაზუსტებულია იმ მოდულები, რომელიც განხორციელდება დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ტყის ფართობზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, რამდენად შესაძლებელია პროგრამის ეფექტიანად განხორციელება, იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ ბევრი მოდულია რეალურ სამუშაო გარემოში გატანილი, ამასთან ეს მოდულები, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, წელიწადის სხვადასხვა სეზონური პერიოდს მოიცავს.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას სატყეო მეურნეობასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებებს, კერძოდ, მუშაობა მოხდება წელიწადის დროების მიხედვით ფოთლოვან და წიწვოვან ქვეტყეში. მისი თქმით, საკმაოდ კარგი სატყეო ბაზაა, რომელსაც აქვს კარგი დენდროლოგიური პარკი, გარს ეკვრის ფართოფოთლოვანი შერეული ტყით წარმოდგენილი მასივი, ამიტომ სტუდენტებს არ გაურთულდებათ აღნიშნული პროგრამის ათვისება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტისთვის" „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტს“(ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

მეოთხე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამთა კვინიკაძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 25.07.24 წლის N0000907887 ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, რომლის მიზნით განახორციელა ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 12 აგვისტოს (ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21).დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.4 რჩევა: დარგობრივ ზოგად მოდულებში თემატიკის გათვალისწინებით დაემატოს მათ ხელთ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.2 - დაწესებულებამ ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს მთავრობის დადგენილების (N№463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მოთხოვნილი ცნობის წარმოდგენა.

საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ დატოვა საბჭოს სხდომა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედირება“

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C (იმიტირებული) გარემო. B კომპიუტერული კლასი და A თეორიული სწავლების სივრცე, რომელიც აღჭურვილია საჭირო რაოდენობის ინვენტარით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 13 დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა გაფორმებული მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: ,,ინდ. მეწარმე დავით თვალთვაძე" (გამანაწილებელი ცენტრი); შპს ,,მეგზური 2024" შემდეგი მოდულების ფარგლებში ,,სატრანსპორტო საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა; ,,სატრანსპორტო საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება"; ,,სატრანსპორტო საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება". სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, არის თუ არა პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები ჩატვირთული სტუდენტების სწავლებისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში, რაც იმიტირებულ გარემოში მუშაობის პროცესს რეალურს გახდის.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს დათვალიერდა კომბინირებული A და B გარემო, რომელიც მხოლოდ აღნიშნული პროგრამისთვის არის განკუთვნილი. კოლეჯმა, ასევე, წარმოადგინა შესყიდვასთან და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიმოწერა და ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს, რომ სწავლის დაწყებისთვის აღნიშნული პროგრამები უკვე ჩატვირთული ექნებათ. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ დაწესებულება შეძლებს აღნიშნულის უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვიზიტის დროს კოლეჯს გაფორმებული და ხელმოწერილი ჰქონდა ხელშეკრულება მეორე მხარესთან აღნიშნული სასწავლი პროგრამის პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ. ამ ეტაპზე ყველა სამუშაო შესრულებულია, პროგრამები ჩატვირთულია. კოლეჯს ამის მტკიცებულებად შეუძლია წარმოადგინოს მიღება ჩაბარების აქტი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო და იყო მხოლოდ ხელშეკრულება გაფორმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს

(ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭოს წევრი მარიამ ქუჩულორია შემოუერთდა საბჭოს სხდომას და საბჭოს წევრმა ვალერი გულბანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ "რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)“ (განხორციელების ენა ინგლისური), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტთან შესაბამისობის

შეფასება. უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 15 აგვისტოს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ელენე კაკაბაძე (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი ვახტანგ კახნიაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, დათვალიერდა მატერიალური რესურსები და პრაქტიკის ობიექტი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეებში ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება და პირადი საქმეების მოწესრიგება.

2.2.1.7 - სასურველია საგანმანათლებო პროგრამის ბიუჯეტში განისაზღვროს რენტაბელობის ზღვარი, რაც შესაძლებელს გახდის შემდეგ პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილ ანალიზს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)“

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია „რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიულ ტექნიკური მომსახურება (A1)“ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ორი B გარემო 20-20 სტუდენტზე სამი A/C გარემო: საჰაერო ხომალდების რადიოსანავიგაციო მოწყობილობების, საავიაციო ძრავების და აეროდინამიკის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. ერთი A გარემო - საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ერთი C გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიულ ტექნიკური მომსახურება (A1)“; უნივერსიტეტის მიერ ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია 80 პროფესიული სტუდენტი ორ მიღებაზე, ორ ცვლაში. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა უნივერსიტეტის და პრაქტიკის ობიექტებზე. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: შპს „ჯორჯიან ეარვეისთან“ და შპს „ჯეო სქაი ტექნიქსთან“, რომლებიც ითვალისწინებენ პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ნაწილში მხარდაჭერას და პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით მხარეებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებითაც განსაზღვრულია დამატებითი ღონისძიებების პირობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმებულია პრაქტიკის შემდეგ ობიექტებთან: შპს „ჯორჯიან ეარვეისთან“ და შპს „ჯეო სქაი ტექნიქსთან“უვადოდ. უნივერსიტეტი ფლობს Boeing 737-200 თვითმფრინავს, რომელიც მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. თვითმფრინავი არ არის შესაფერისი ფრენისთვის, და გამოყენება საჰაერო ხომალდზე პრაქტიკული სწავლების (აწყობის/დაშლის სავარჯიშოები და პროცედურები) მიზნით. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს კოოპერაციული ფორმით, რეალურ სამუშაო გარემოში. ამ ეტაპზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, პროფესიული მოდულების ფარგლებში სრულად იფარება დაწესებულების სასწავლო სახელოსნოსა და ლაბორატორიებით, ხოლო მოდულები:

„პრაქტიკა 1 (A)“ და „პრაქტიკა 2 (A)“ - თბილისის საერთაშორისო აეროპორტით და თელავის აეროპორტის, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ცენტრით, რომლის განკარგვის უფლებამოსილება აქვს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს #1436 განკარგულების საფუძველზე (პ.5, ბ.ა)). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიულ ტექნიკური მომსახურება (A1)“ განახორციელებს 44 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს 42 მასწავლებელი, 2 ზოგად მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" (განხორციელების ენა ინგლისური), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტთან შესაბამისობის შეფასება. უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 16 აგვისტოს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ელენე კაკაბაძე (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი ირაკლი ვერძაძე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, დათვალიერდა მატერიალური რესურსები და პრაქტიკის ობიექტი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა"
ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტში „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილია ორი B გარემო , სამი A/C გარემო: საჰაერო ხომალდების რადიოსანავიგაციო მოწყობილობების, საავიაციო ძრავების და აეროდინამიკის ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. ერთი A გარემო - საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ერთი C გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" უნივერსიტეტის მიერ ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტი

ორ მიღებაზე, ორ ცვლაში. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეუფერხებლად და სრულყოფილად მიღწევისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობა უნივერსიტეტის და პრაქტიკის ობიექტებზე. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ნაწილში მხარდაჭერას და პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საგანმანათლებლო პროგრამის „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" ორი მოდული „აეროდრომის ექსპლუატაცია“ და „აეროდრომის ტექნიკური მომსახურება“ განხორციელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. დარგობრივი მოდულების პრაქტიკული კომპონენტები განხორციელდება თელავის და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების ტერიტორიაზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" განახორციელებს 38 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს 36 მასწავლებელი, 2 ზოგად მოდულებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ ვინ იქნება შემფასებელი, ვინც შეაფასებს სტუდენტების ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. იქნება ეს დამოუკიდებელი კომისია, თუ იგივე მასწავლებელი ვინც ასწავლის.

ექსპერტის განმარტებით, შემფასებელი პირების საკითხი ძალიან კარგად არის დარეგულირებული, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი სააგენტოს მიერ და დაწესებულება მიყვება ამ სტანდარტებს. მათ სპეციალურად ჰყავთ გადამზადებული ინსტრუქტორები. წარმოდგენილი იყო როგორც განმახორციელებელი, ისე შემფასებელი პირების გადამზადების გეგმაც. აქაც სტანდარტიზებულია ყველაფერი საერთაშორისო დონეზე. შესაბამისი მოდულები უნდა ჰქონდეთ გავლილი, სერთიფიცირებულები უნდა იყვნენ. დაწესებულებას ზემოაღნიშნული კომპეტენციის მიხედვით შერჩეული პირები ამ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ჰყავდა, რაც დასტურდებოდა შესაბამისი სერტიფიკატებით. მათ აქვთ სპეციალური პროცედურა, რომელიც სასწავლო პროცესისა და შეფასების ხარისხს უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ვინაიდან პროგრამის განხორციელების ენაა ინგლისური, ძირითადად რომელი ქვეყნის წარმომადგენლები არიან სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტები ძირითადად ქართველები არიან, ინგლისური ენის მოთხოვნა დარგში არსებული რეგულაციებიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აქვს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული, რომ სწავლებისა და გამოცდების განხორციელების ენა უნდა იყოს ინგლისური, თუმცა გარკვეული რაოდენობით უცხოელი სტუდენტებიც ჰყავს დაწესებულებას. პროფესიულ პროგრამებზე

შედარებით ნაკლები იყო მომართვიანობა, თუმცა ამ ეტაპზე, ამ მიმართულებით მატება აქვს დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(და ნართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

მეშვიდე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ (განხორციელების ენა ინგლისური), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტთან შესაბამისობის შეფასება. დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 16 აგვისტოს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი გიორგი კაკაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16. ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ/პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.7 საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს ეკჩ-ს კვალიფიკაციის (0716.3.1 საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება Aircraft Maintenanse) ჩანაწერის იდენტურად და ნაცვლად „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 0716“, ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში“.

2.2.1.3 დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეებში ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება.

2.2.1.7 - საგანმანათლებო პროგრამის ბიუჯეტში სასურველია განისაზღვროს რენტაბელობის ზღვარი, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულყოფილ ანალიზს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორიები, B გარემო, საჰაერო ხომალდების რადიო-სანავიგაციო მოწყობილობების ლაბორატორია A/C გარემო, საავიაციო ძრავის ლაბორატორია, A/C გარემო, აეროდინამიკის ლაბორატორია ,A/C გარემო, პრაქტიკული

სწავლების სახელოსნო ე.წ. „workshop საერთო ფართით 287 კვ.მ, საგამოცდო სივრცე, 14 სამუშაო ადგილი. საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, დაწესებულების მფლობელობაშია ასევე თელავის საფრენი მოედანი „მიმინო“ და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ცენტრი, რომელსაც იყენებს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. შემოწმებული იქნა სახელმწიფო ლიცენზიების/სერტიფიცირების სფეროც. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, დაწესებულებაზე გაცემულია სერტიფიკატი. სასწავლო სივრცე მოეწყო და აღიჭურვა USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში. სახელოსნო აღჭურვილია Boeing 747-ის ტიპის საჰაერო ხომალდის ძრავით, ფურცლოვანი მეტალის დასამუშავებელი ჩარხებით, ელექტროგაყვანილობის სტენდებით, კომპოზიტური მასალებისა და ურღვევი კონტროლის ლაბორატორიით, აერომეტრული ხელსაწყოების დასაკალიბრებელი მოწყობილობით და სხვა თანამედროვე მზომი ხელსაწყოებით. დაწესებულება ფლობს Boeing 737-200 თვითმფრინავს, რომელიც მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. თვითმფრინავი არ არის შესაფერისი ფრენისთვის, და გამოყენება საჰაერო ხომალდზე პრაქტიკული სწავლების (აწყობის/დაშლის სავარჯიშოები და პროცედურები) მიზნით. უნივერსიტეტის მფლობელობაშია საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმო, რომელიც ტექნიკურ მომსახურებას უწევს იტალიური და ამერიკული წარმოების საჰაერო ხომალდებს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

მერვე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ „მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2024 წლის 9 აგვისტოს ბრძანების № 0960356 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3) (განხორციელების ენა ინგლისური), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტთან შესაბამისობის შეფასება. დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 15 აგვისტოს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი გიორგი კაკაშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16. ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ/პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B გარემო, სამი A/C გარემო: საჰაერო ხომალდების რადიო სანავიგაციო მოწყობილობების (24 სამუშაო ადგილი), საავიაციო ძრავების (24 სამუშაო ადგილი) და აეროდინამიკის (12 სამუშაო ადგილი) ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. ერთი A გარემო - საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ერთი C გარემო, პრაქტიკული სწავლების სახელოსნო (ე.წ. workshop, საერთო ფართი: 287 კვ.მ; იხ. ასევე 2.4.1. ინდიკატორი). სასწავლო სივრცე მოეწყო და აღიჭურვა USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში. სახელოსნო აღჭურვილია Boeing 747-ის ტიპის საჰაერო ხომალდის ძრავით, ფურცლოვანი მეტალის დასამუშავებელი ჩარხებით, ელექტროგაყვანილობის სტენდებით, კომპოზიტური მასალებისა და ურღვევი კონტროლის ლაბორატორიით, აერომეტრული ხელსაწყოების დასაკალიბრებელი მოწყობილობით და სხვა თანამედროვე მზომი ხელსაწყოებით. დაწესებულების მფლობელობაშია ასევე შემდეგი ლაბორატორიები: ელექტროტექნიკის, ელექტრონიკის, საჰაერო ხომალდების ელექტრული სისტემების, საავიაციო ხელსაწყოების, საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების ლაბორატორიები, ასევე ზოგადი ფიზიკის 2 ლაბორატორია, რომელსაც გამოიყენებს პროგრამის განხორციელებისას. სასწავლო გარემოების აღჭურვა შესაბამისია წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის და მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით. დაწესებულება ფლობს Boeing 737-200 თვითმფრინავს, რომელიც მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. თვითმფრინავი არ არის შესაფერისი ფრენისთვის და გამოყენება საჰაერო ხომალდზე პრაქტიკული სწავლების (აწყობის/დაშლის სავარჯიშოები და პროცედურები) მიზნით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში ხომ არ გამოვლინდა და დაფიქსირდა შენიშვნები საგანმანათლებლო სტანდარტის მიმართ, რომელიც საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საინტერესოა, ვინაიდან როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო სტანდარტი სწორედ დაწესებულების მონაწილეობით და დაწესებულების ბაზაზე შემუშავდა და როცა ხდება საგანმანათლებლო სტანდარტის პრაქტიკული რეალიზაცია პროგრამის სახით, შესაძლოა სხვადასხვა ასპექტები გამოვლინდეს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იქედან გამომდინარე, რომ საავიაციო უნივერსიტეტი 2017 წლის შემდეგ უკვე ამ მიმართულებით მუშაობს და 2019 წლის შემდეგ

უკვე ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ტექნიკოსის მომზადების მიმართულებით. ახალი პროგრამები, რომლებიც შემოიტანა დაწესებულებამ დასამატებლად, არის სწორედ ამ პროგამების გაგრძელება, რომელიც უკვე გააჩნია უნივერსიტეტს. არსებული რეგულაციები ამ სხვადასხვა მიმართულებების ერთი პროგრამით წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა. უნივერისტეტს აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგია, როგორც პრაქტიკის, ისე თეორიული კომპონენტების განხორციელებისთვის და ამ მეთოდოლოგიის მიხედვით მიდის თითოეული პროცესი. რა თქმა უნდა ეს არის განვითარებადი პროცესი და მანამდე არსებული პროგრამების განხორციელებისთვის საკმაოდ ბევრი ცვლილების შეტანა და განვითარება ნახა ამ პროცესმა, შესაბამისად ახალი პროგრამებისთვის საკმაოდ მომზადებულია უნივერსიტეტი, თუმცა რაც დრო გადის უფრო ვითარდება დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის „მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 8).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ვალერი გულბანი.

მეცხრე საკითხი: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ვალე).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯში ,,კონსტრუქტ2" (შემდეგში „დაწესებულება“) ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა); დ.ბ) და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება, მისამართზე: ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18. არაგეგმიური მონიტორინგი(ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ის მიერ შემოტანილი იყო პროგრამის დამატების განაცხადი ახალ ლოკაციაზე - ქალაქ ვალეში, ამან განაპირობა არაგეგმიური მონიტორინგის ჩანიშვნა) განხორციელდა 2024 წლის 2 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების: მანანა მახარაშვილის (თავმჯდომარე) და ელენე კაკაბაძის შემადგენლობით. მონიტორინგის ფარგლებში, განხორციელდა ვიზიტი დაწესებულების ახალ მისამართზე. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა დაწესებულებისთვის გადაცემული უძრავი ქონების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. მიმდინარე სამუშაოების და მათი შესრულების ვადების შესახებ განმარტებები გააკეთეს დაწესებულების დამფუძნებელი კომპანიის „ბკ კონსტრაქშენის“ წარმომადგენელმა და კოლეჯის „კონსტრუქტ2“ დირექტორმა. სამშენებლო- სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე, ვიზიტი გაგრძელდა ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (მისამართი: ახალციხე, თამარ მეფის შესახვევი 11), სადაც შედგა დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება და დოკუმენტაციის გაცნობა. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრმა გიორგი ვეკუამ.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (3) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

4.1.3 **შესაბამისობის რეკომენდაცია:** დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პერსონალის შერჩევა/დაკონტრაქტება და

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უზრუნველყოფა. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ.
4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას - ინდიკატორები: პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული (1), პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (2) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.
შესაბამისობის რეკომენდაცია: პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დაგეგმილ ვადებში უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად მისამართზე პერსონალის შერჩევა/დაკომპლექტება. ღონისძიებების გატარება დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

სტანდარტი 5. მატერიალური რესურსი
5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით (1), „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის (2)" „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები" (3), „შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით (4), „დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები" (5), „ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები (6), „პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის (8), „ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა (9), „სათავსებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას (10), „მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად (11) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი" შესაბამისობით.
შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18) საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ინფრასტრუქტურის, მ.შ. ინკლუზიური გარემოს მოწყობა და მისი აღჭურვა მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ასევე უზრუნველყოფილი იქნეს მატერიალური რესურსით და ინფრასტრუქტურით შეუზღუდავი სარგებლობის მექანიზმები, ინფრასტრუქტურის (სასწავლო-სამუშაო და დამხმარე სივრცეები, სანიტარული კვანძები), საბიბლიოთეკო, სანიტარული-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნული ღონისძიებების გატარება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო

ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.
ინდიკატორი 5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება - ინდიკატორები: „დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების“ (1), „დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ (2), „დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი“ (3) და „დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას“ (4) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. **შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ** უზრუნველყოს ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა **N 18**) მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომებისა და წესრიგის დაცვა. ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დანერგვა-რეალიზება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

5.2 საინფორმაციო რესურსები
5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - ინდიკატორები: „პსდ- ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს“ (1), „პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას“ (2) დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას (3), „პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას“ (4), „პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება“ (5), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით (6) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. **შესაბამისობის რეკომენდაციაა:** დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაბამისობა დაწესებულების პროცესებთან. ასევე დანერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, დადგენილ ვადებში აყვანილი იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის, ხელმისაწვდომობის, ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმებისა და პროცედურების დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.
5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - ინდიკატორები: „პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი“ (1), „პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის“ (2), „პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას“ (3), „პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან“ (4) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი

დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
შესაბამისობის რეკომენდაციაა: დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალ მისამართზე კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე ანგარიშგებისა და უკუკავშირის სისტემის დანერგვა/ამოქმედება. აღნიშნული ღონისძიებების დაკმაყოფილება დაწესებულებამ უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.
5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას - ინდიკატორი „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“ (6) - არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. **შესაბამისობის რეკომენდაციაა:** დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების მექანიზმებისა დანერგვა ახალ მისამართზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით, არა უგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება.
5.1.1. (11) - მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად - **რეკომენდაცია:** ბიბლიოთეკით სარგებლობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად და შეუფერხებლად მართვისთვის, სასურველია ბიბლიოთეკარის ფუნქციები დაევალოს სხვა პირს ან აყვანილი იქნას ახალი პერსონალი. ამასთან ახალ მისამართზე ბიბლიოთეკარისთვის, ან შეთავსებით ფუნქცია მოვალეობების შემსრულებელი პერსონალისთვის, განხორციელდეს შესაბამისი სწავლება/მომზადება.
5.2.2. (1) პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - **რეკომენდ აცია:** სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმეთა ნომენკლატურის, დოკუმენტის შეთანხმებისა და დამტკიცების გრიფების გაფორმება საქართველოს პრეზიდენტის #414 ბრძანებულების 46-ე მუხლის მე-3 პუნქტია „ბ“ ქვეპუნქტის და ამავე ბრძანებულების მე-7 დანართის შესაბამისად. ასევე, დოკუმენტის გამოცემისას დაცული იქნეს ბრძანებულების 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები და დოკუმენტის გამოცემა უზრუნველყოფილი იქნეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის დაგეგმილია შემდეგი სივრცეების მოწყობა: საკლასო ოთახები (A, B, C სასწავლო გარემო), რომლებიც განლაგებულია შენობის 3 სართულზე, პროექტით გათვალისწინებულია ასევე ლიფტის მოწყობა, ხოლო შენობის მიმდებარედ ავტოსადგომი. საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების საქმიანობა ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ

ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის - დაწესებულების მიერ, შემუშავებულია ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსით სარგებლობის მექანიზმები/წესები, რომელიც ასევე გავრცელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის მისამართზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შენობის რეაბილიტაციის პროექტით, დაგეგმილია საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი სივრცეები, „ბკ ქონსთრაქშენ“-თან გაფორმებული თანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, აღნიშნული სივრცეები სრულად იქნება აღჭურვილი, შეიქმნება საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომლითაც სარგებლობას შეძლებენ როგორც პროფესიული სტუდენტები და მსმენელები, ისე პერსონალი.დაწესებულებას ახალი ლოკაციის სივრცეების/ფართის და მოთხოვნილი საშტატო ერთეულებისა და რაოდენობების გათვალისწინებით, მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში, შესაძლებელი იქნება დაწესებულებამ უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილი“ შესაბამისობა. საგრანტო ხელშეკრულებისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების, ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დაწესებულების შენობა-ნაგებობა ახალ მისამართზე (ქალაქი ახალციხე, ვალე, სტალინის ქუჩა N 18), უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით დაგეგმილი ამოცანების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადაა 20.11.2024 წ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპეერტის განცხადებით, დაწესებულებამ ახალ მისამართზე მოითხოვა მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და ლოგისტიკის მენეჯერის საშტატო ერთეული, რასაც სამინისტრო დაეთანხმა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა ახალი საშტატო განრიგი (ოქმი #3, 19.07.2024). სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, ახალ მისამართზე ავტორიზაციისა და პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი კადრის აყვანა და შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

ექსპერტის განცხადებით, პროცესის მართვისა და შეუფერხებლად მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს პოზიციის სამუშაო აღწერილობა, „სამეურნეო საქმიანობის, ფინანსური, მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური აქტივების მართვის წესი (ბრძ. #232904, 15.03.2021 დანართი 5), რომლის თანახმად, დაწესებულების საქმიანობისთვის საჭირო სამუშაოების/მომსახურებისთვის საჭირო რესურსის შესყიდვა იგეგმება ერთ სამეურნეო წელზე, მომავალი სამეურნეო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენისას. დოკუმენტი მოიცავს, შესასყიდი რესურსის სპეციფიკაციისა და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, შესყიდვების წესებს, მექანიზმებს. დაწესებულების ახალ მისამართზე პროექტით დაგეგმილია 2 სასაწყობო სივრცე, რაც უზრუნველყოფს სათანადო მარაგების არსებობას ადგილზე. არსებული ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტების, ასევე დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.11.2024 წ.) აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით. პსდ აფასებს

საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას - აღნიშნულ საკითზე პასუხისმგებლობა აკისრია IT მენეჯერს, რომლის ფუნქცია-მოვალეობებიც მოიცავს IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის მართვას და შემოწმებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომდგენელს კითხვით, საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რამდენ ხანში მოხერხდებოდა სრულად საჭირო პერსონალის მოძიება, შერჩევა და აყვანა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯს უკვე დაწყებული აქვს პერსონალის მოძიება და შერჩევა, ყველაფერი კეთდება მოკლე ვადებში. კოლეჯი ცდილობს ყველა შემხვედრი პროცესი მოწესრიგებული იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რატომ გადაწყვიტა ზესტაფონში არსებულმა კოლეჯმა ვალეში ფილიალის გახსნა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯის დამფუძნებელი კომპანია ბიქეი ქონსთრაქშენი არის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანია. კოლეჯის დაფუძნების ძირითადი მიზეზი იყო ის დიდი მოთხოვნა, რაც არსებობს სამშენებლო სექტორში, რომელიც სრულიად საქართველოს მასშტაბით უდგას ყველა კომპანიას. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო კომპანიას არ ყოფნიდა საქართველოში კადრები და ახალი კადრების მოძიება უწევდა საზღვარგარეთიდან, შესაბამისად გადაწყვიტა თავად დაეფუძნებინა ტრენინგ ცენტრი, თუმცა როდესაც განათლების სამინისტროსთან გაიარეს ეს საკითხი, ორმხრივი აღმოჩნდა ინტერესი და სწორედ ამ ორმხრივი საჭიროებების გამო შეიქმნა საჯარო - კერძო პარტნიორობის კოლეჯი, სადაც განათლების პროვაიდერია განათლების სამინისტრო. მეორეს მხრივ კი დამსაქმებელი არის საქართველოში ყველაზე მსხვილი კომპანია, რომელმაც იცის ზუსტად, როგორი კადრები სჭირდება და დასაქმებაზეა მთლიანად ორიენტირებული. დამსაქმებელი ექვს თვეში ერთხელ აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებას, თუ რა კატეგორიის კადრები სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ ახორციელებს კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობას პოტენციურ დამსაქმებლებთან და კოლეჯი ამზადებს კადრებს სწორედ იმ პოზიციებისთვის, რომლებიც სჭირდება დამსაქმებელს. მისი თქმით, ზესტაფონში დაფუძნდა კოლეჯი და უკვე წლებია ოპერირებს, თუმცა კოლეჯის ამოცანა რეგიონული განვითარებაა და რადგან დასავლეთში უკვე არსებობს დაწესებულება, ტერიტორიული დაფარვის მიზნით შეირჩა აღმოსავლეთში მდებარე ტერიტორია, თბილისთან ახლოს. ასევე, ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო შენობის არსებობა, სადაც ადრე განთავსებული იყო პროფესიული სასწავლებელი, შენობა დაგეგმარებით ძალიან კარგად შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს და ასევე, შედარებით მარტივი იყო მისი რეკონსტრუქცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაეკეთებინა კომენტარი და შეეჯამებინა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა აგვისტოს დასაწყისში, აღნიშნულ პერიოდში მიდიოდა აქტიური სამუშაოები. დღესდღეობით გაცილებით წინ არის წაწეული პროცესი, შენობა უკვე შეფუთულია გიფსოკარდონით, მიმდინარეობს გარე სამღებრო სამუშაოებიც. ის ძირითადი ნაწილი, რაც ეხებოდა სატენდერო პროცესებისა და სამუშაოების შესრულებას. აქტიურ ფაზაშია პროცესები შესული. სამუშაოთა შემსრულებელმა ასევე, გამოაგზავნა კოლეჯში არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, სადაც მუშავდება გარე ფასადი, შიდა სივრცეებში იატაკი მოჭიმულია და მხოლოდ სამღებრო სამუშაოებია შიგნით დარჩენილი, დაახლოებით ერთი თვის სამუშაოებია დარჩენილი. ოქტომბრის ბოლოს შენობა მზად იქნება. გარდა შენობისა ამ ვადებში, ასევე

შევიტანთ აღჭურვილობასაც სწავლებისთვის. აღჭურვის პროცესს ახორციელებს კერძო კომპანია და ტენდერის გამოცხადება საერთოდ არ იქნება საჭირო, შესაბამისად კოლეჯი აცდენილია იმ პროცესებს, რაც ახლავს ხოლმე ტენდერებს. შესყიდვის პროცედურა დაწყებულია და თანხის ნაწილი უკვე ჩარიცხული შემსყიდველი კომპანიისთვის. ძირითადი თანხა რაც დაწესებულებას უნდა დაეხარჯა აღჭურვილობის შეძენაში უკვე დაკორექტირებულია და დაწყებულია შესყიდვის პროცესი კონსტრუქტორების მხრიდან. მისი თქმით, ოქტომბრის ბოლოს შენობა მზად იქნება და ნოემბერში დაიწყება გაწყობა იმ აღჭურვილობით, რომელსაც მოგვაწვდის ბიქეი კონსტრაქშენი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი (ქ. ვალე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ში (ს/კ:430035874) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით (ქ. ვალე). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2" -ში 4.1, 5.1 და 5.2 კომპონენტებში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 20 ნოემბერი.

მეათე საკითხი: ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ის მიერ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ვალე);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25/07/2024 MES 1 24 0000904647 ბრძანებით შექმნილმა (შესულია ცვლილება 26/07/2024 MES 6 24 0000909935)ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 2 აგვისტოს (ქ. ვალე, სტალინის ქ. 18). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა. შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სასწავლო საწარმოს წარმომადგენელთან. ვიზიტის დროს დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მატერიალური რესურსი, სასწავლო გარემო. მათ შორის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმების განხილვა, საგანმანათლებლო რესურსის არსებობის შესწავლა, შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტის განცხადებით, საუკეთესო გამოცდილების მაგალითად ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა მონაცემთა მართვის პორტალის (2024 წლამდე CRM. 2024 წლიდან BITRIX) ჩართვა საგანმანათლებლო საქმიანობაში, რომლსაც კონსტრუქტ2 იყენებს სტატისტიკური და ინფორმატიული მონაცემების სისტემატიზებისთვის პორტალზე ავტომატიზებულად ხდება მონაცემების თავმოყრა და პერსონალური ვირტუალური ბარათების შექმნა, რომლებიც ფიქსირდება როგორც, ტელეფონზე შემოსული ზარებიდან ასევე სოციალურ ქსლებში შემოსული შეტყობინებების, კომენტარების და მარკეტინგული აქტივობებისგან. ასევე, შესაძლებელია მონაცემების ხელით შეყვანა იმ შემთხვევაში, როცა დაინტერესებულ პირებთან კონსულტირება ხდება პირისპირ და არა სხვა საკომუნიკაციო არხებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, აღნიშნული პორტალიდან ხდება სტატისტიკური

მონაცემების გადმოტანა დიაგრამების სახით; საზოგადოების მხრიდან სფეროების მიმართ მაღალი ინტერესის ანალიზი, რომელიც თანხვედრაში მოდის დამსაქმებელთა საჭიროებებთან. პორტალზე მონაცემების თავმოყრის ძირითადი მიზნებია მოხდეს მარკეტინგული აქტივობების ხარისხის და ეფექტიანობის განსაზღვრა და დაინტერესებული პირების (პროფესიული სტუდენტები/მსმენელების, პოტენციური დამსაქმებლების) სხვადასხვა სტატისტიკების წარმოება. პორტალზე ასახული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მქონე პირების ბარათებში შესაძლებელია კომენტარების სახით თითოეული მათგანის ინტერესების და საჭიროებების მითითება, რომელიც ეფუძნება სტუდენტური სერვისების კოორდინატორის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვას. პორტალზე ხდება ინტერესების და საჭიროებების გაფილტვრა და დაჯგუფება. რაც წარმოადგენს საფუძველს შემდგომი აქტივობების განხორციელებისთვის. კოლეჯის საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს კომპანიების მხრიდან თანამშრომლობის შემოთავაზების მრავალი მაგალითი, რომელთა მხრიდანაც საკომუნიკაციო არხად ხშირად გამოყენებულია როგორც სატელეფონო ასევე სოციალურ ქსელში შემოსული შეტყობინება. აღნიშნული მონაცემები ავტომატურად გენერირდება პორტალზე მონაცემების შემდგომი დამუშავების მიზნით. დაინტერესებული პირების შესახებ საინფორმაციო ნაკადის შექმნა, თუ რა ნაბიჯებს გადიან კოლეჯთან კომუნიკაციის შემდეგ: მაგალითად, პირველადი კომუნიკაციის შემდეგ დაინტერესებული პირები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას პროგრამების შესახებ და იმ პირობების შესახებ, რასაც პსდ სთავაზობს ნებისმიერ მსურველს.

ექსპერტის განცხადებით, მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, დაინტერესებული პირების მონაცემების გადატანა ხდება ან მომლოდინეთა სიაში ან რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრირებულთა ბაზაში. მსგავსად ხდება ყველა ეტაპის მიხედვით მონაცემების გადატანა შესაბამის ველში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების გამოტანა აღნიშნული მიმართულებებით: დაინტერესებული პირებიდან რამდენი დარეგისტრირდა; დარეგისტრირებული აპლიკანტებიდან რამდენმა გაიარა ჩარიცხვის პროცედურები და დაიწყო სწავლა პროგრამაზე; ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები/მსმენელებიდან რამდენი გავიდა საწარმოო პრაქტიკაზე; რამდენმა აიღო დიპლომი/სერტიფიკატი; საგანმანათლებლო პროგრამებზე რამდენმა გაიარა სწავლის შემდეგ სტაჟირება; რამდენი დასაქმდა (მოინიშნება ბიქეი ან სხვა დამსაქმებელი) და სხვა. ასევე ნებისმიერი ეტაპიდან გასული პირის მონაცემები გადადის არააქტიური მონაცემების ბაზაში, სადაც აუცილებლად მითითებულია კომენტარის სახით რა ეტაპზე, რა მიზეზით გამოეთიშა პროცესს.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორის 2.2.1.1 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20 ნოემბერი 2024) საგანმანათლებლო სივრცეების/AC და B გარემოს აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20 ნოემბერი 2024) პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს მთავრობის დადგენილების (№463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მოთხოვნილი ცნობის წარმოდგენა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.4.1.6 ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასწავლო C გარემოსათვის შემუშავდეს შესაბამისი უსაფრთხოების წესები/ მანიშნებლები და უზრუნველყოფილ იქნას სწავლის დაწყებისთანავე ამ წესების/მანიშნებლების პროფესიული

სტუდენტებისათვის გაცნობა და აღნიშნულ გარემოში თვალსაჩინო ადგილზე განთავსება. ასევე მიზანშეწონილია C გარემოში განთავსდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთი და ცეცხლმაქრი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ელექტროობა” განხორციელების მისამართია: ქ. ვალე სტალინი 18 პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება რამდენიმე გარემო. ერთი დარგობრივი ინტეგრირებული AC გარემო, რომელიც აღჭურვილი იქნება პროფესიული დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული ინვენტარით და A გარემოსათვის საჭირო მერხებით და სკამებით, მასწავლებლისთვის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, სამუშაო ადგილებით პროფესიული სტუდენტებისთვის და B გარემო, სადაც განხორციელდება დარგობრივი მოდულები „საინჟინრო ხაზვა” და ზოგადი მოდულისათვის “ ინფორმაციული წიგნიერება1” , ასევე სხვა მოდულების გარკვეული კომპონენტები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული B გარემო გამოიყენება მხოლოდ ამ პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტებისათვის. გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული მოდული „საინჟინრო ხაზვა” განხორციელდება კომპიუტერული პროგრამა AutoCAD-ს სწავლებით. პროგრამის დანართი N17 წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი მოიცავდა ისეთ მოდულებს, რომელიც არ არის პროგრამაში წარმოდგენილი, ასევე არ იყო დაზუსტებული დარგობრივი მოდულის „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“ განხორციელებისათვის საჭირო რესურსი სრულად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული დანართი, სადაც გასწორებულ იქნა უზუსტობები. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის შენობა-ნაგებობა, ასევე პროგრამისათვის „ელექტროობა“ განკუთვნილი აუდიტორიები. სარემონტო სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული, შესაბამისად არ არის აუდიტორიები აღჭურვილი დანართი N17 მიხედვით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული კომპონენტის შეფასებული აქვს მეტწილი შესაბამისობით. დარგის ექსპერტი ესაუბრა მშენებლობის მწარმოებელს, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელს და დაინტერესდა პროგრამისათვის „ელექტროობა“ გათვალისწინებული C გარემო თუ მოეწყობა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ : სასწავლო გარემოს ფართი: არანაკლებ 3მ 2 -ისა ერთ სტუდენტზე; ჭერის მინიმალური სიმაღლე 2,5 მ; ელექტროენერგიის სიმძლავრე 220 v.380ვ (3-ფაზა) და სხვა. კოლეჯმა დაადასტურა, რომ მოდელი C სასწავლო გარემოსადმი არსებული მოთხოვნები სრულად იქნება გათვალისწინებული წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად შენობა დასრულებული და აუდიტორიები აღჭურვილი იქნება 2024 წლის 20 ნოემბრისთვის, ანუ სწავლის დაწყების მეორე ვადისათვის. მშენებლობის მწარმოებელსაც დაადასტურა, რომ მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს განსაზღვრული გრაფიკით და დამთვრდება დადგენილ ვადებში. დაწესებულებამ არგუმენტირებულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა “ შესაბამისობაშია მოსაყვანი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ აქტივობის ვადა განსაზღვრულია 20.11.2024 მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამა „ელექტროობა“ განხორციელდება იმიტირებული წესით, რაც გულისხმობს ყველა მოდულის სრულად ადგილზე განხორციელებას, შესაბამისად კოლეჯს არა აქვს ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, თუ რამდენად მოსწრებადია ლაბორატორიისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა და ამ ყველაფრის დამონტაჟება.

დარგის ექსპერტის განმარტებით, თითოეული პროგრამისთვის მთლიანობაში შენობის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა, არსებული განყოფილებებიც რემონტის პროცესშია, თუმცა რთული დასამონტაჟებელი არ არის ლაბორატორია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაც წარმოდგენილი აქვს, შესაბამისად ვადებში თავისუფლად ჩაეტევა დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, 20 ნოემბერს დაწესებულება შესაბამისობის გეგმით გაწერილ პროცესებს ასრულებს და 26 ნოემბერს უკვე სწავლას იწყებს, ტექნიკურად როგორ უნდა მოხდეს ამ ყოველივეს შემოწმება და დადასტურება, რომ ნამდვილად შესაბამისობაში აქვს მოყვანილი კოლეჯს ყველაფერი. იმ შემთხვევაში, თუ 20 ნოემბერს მონიტორინგი ჩაინიშნა, უნდა გამოიყოს ჯგუფი, განხორციელდეს ვიზიტი, მომზადდეს დასკვნა და საბჭოს სხდომაზე თავიდან გამოვიდეს განსახილველად, შესაბამისად 26 ნოემბერს თუ სწავლა უნდა დაიწყოს ტექნიკურად, როგორ მოესწრება აღნიშნული პროცესების წარმართვა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აღვნიშნოთ ის, თუ რა სხვაობა არის იმ მოცემულობას შორის, რაც იყო მაშინ და რაც არის ახლა. კერძო-საჯარო პარტნიორობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიკეთე არის ზუსტად ის, რომ კერძო კომპანია უდგას გვერდით კოლეჯს, რომელიც გამოირჩევა დიდი წარმატებით მოკლე ვადაში ბინების დიდი რიცხვის ჩაბარებით. ეს პროცესი, რაზეც ახლა საუბრობენ, არის ძალიან ნაცნობი ამ კომპანიის პროფესიონალების გუნდისთვის. მათგან ყოველკვირეულად მისდის კოლეჯს რეპორტები, თუ რა გაკეთდა კონკრეტულ კვირაში და რა იგეგმება მომდევნო კვირაში. აქედან გამომდინარე არამარტო დაწესებულების დირექტორის, არამედ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ენდობა მათ სახელს, მათ იმიჯს და ბრენდს. შესაბამისად, კოლეჯს ოქტომბრის ბოლოს შენობა ექნება მწყობრში. რაც შეეხება ელექტროობის საკითხს, აქაც ძალიან მყარად დგას კოლეჯი, რადგან ენერგო-პროსთან აქვს ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა, კერძოდ, კონტრუქტორში დაიწყო მსხვილმასშტაბიანი პროექტი, კოლეჯში კეთდება პოლიგონი და კონსტრუქტორი გადაამზადებს ენერგოპროს თანამშრომლებს ზესტაფონში, შესაბამისად როგორც კი დაიწყო ვალეს ფილიალზე საუბარი ენერგოპროდან, იყო ძალიან დიდი დაინტერესება და ვალეშიც მათი მხრიდან იქნება ძალიან დიდი ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, ის სამუშაოები, რაც კოლეჯში არის განსახორციელებელი, ის მატერიალური რესურსი, რაც უნდა შეიძინოს დაწესებულებამ, ძირითადად ვისი დაფინანსებით ხდება ამ ყოველივეს მომარაგება, იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ჰყავს ორი დამფუძნებელი და ორი დამფინანსებელი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ბიქეი-ქონსტრაქშენი არის შემსყიდველი, შესაბამისად, როგორც აღინიშნა ნაწილი უკვე შესყიდულია ბიქეი-ქონსთრაქშენის მიერ და მეორე ნაწილი ახლა მზადდება, რამოდენიმე დღეში იგეგმება დანარჩენი ნაწილის დაკონტრაქტებაც. კოლეჯს შუძლია 20 ოქტომბრისთვის შუალედური ინფორმაცია მიაწოდოს ცენტრს და საბჭოს მიმდინარე პროცესების თაობაზე.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ისთვის „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

საბჭოს წევრებმა კენჭისყრამდე გამოხატეს თავიანთი პოზიცია მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ხათუნა ჩხარტიშვილი- „თანახმა ვარ, მიეცეს განხორციელების უფლება, ამავე დროს ჩაინიშნოს მონიტორინგი 20 ნოემბრიდან, იმ პირობით, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს მოგვეწოდება შუალედური ინფორმაცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით“.
დავით ჯინჭარაძე - „თანახმა ვარ, მიეცეს განხორციელების უფლება, ამავე დროს ჩაინიშნოს მონიტორინგი 20 ნოემბრიდან, იმ პირობით, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს მოგვეწოდება შუალედური ინფორმაცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით“.
რუსუდან გიგაშვილი - „თანახმა ვარ, მიეცეს განხორციელების უფლება, ამავე დროს ჩაინიშნოს მონიტორინგი 20 ნოემბრიდან, იმ პირობით, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს მოგვეწოდება შუალედური ინფორმაცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით“.
ტიტე ბოლქვაძე - „მეც თანახმა ვარ იმ პირობით, რომ მოგვეწოდება შუალედური ანგარიში და ამავე დროს სასწავლო პროცესის დაწყებამდე დასკვნა იქნება დადებითი, რომ პირობებს აკმაყოფილებს დაწესებულება“.
ნინო ველთაური- „თანახმა ვარ, პროექტის და პროგრამის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოღონდ იმ პირობების გათვალისწინებით, რაც ჩემმა კოლეგებმა გააჟღერეს. შუალედური დოკუმენტაცია მოწოდებული, რომ იქნეს და რა თქმა უნდა დასკვნით უნდა დასტურდებოდეს“.
ვალერი გულბანი - „თანახმა ვარ, იმ პირობით, რაც ჩემმა კოლეგებმა გააჟღერეს, შუალედური ანგარიში და დასკვნა, რომ შესრულებულია ყველა სამუშაოები დაწესებულების მიერ უნდა იქნას წარმოდგენილი“.
მარიამ ქუჩულორია - „თანახმა ვარ, იმ პირობების შესაბამისად, რაც უკვე გაჟღერდა კოლეგების მიერ“.
ნატა კვაჭანტირაძე - „თანახმა ვარ, იმ პირობების შესაბამისად, რაც უკვე გაჟღერდა კოლეგების მიერ“.
საბჭოს თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ, შეაჯამა საკითხის განხილვა და აღნიშნა, თუ რა იყო დადებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. საბჭო გაესაუბრა სამინისტროს წარმომადგენელსაც, რომელმაც აბსოლუტურად გარანტია მოგვცა იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდისთვის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებდა შედეგის მისაღწევად, გამომდინარე იქედან, რაოდენ მნიშვნელოვანია კოლეჯის არსებობა ამ რეგიონში, რომელიც ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული. მეორე ფაქტორი რაც იძლევა საფუძველს, რომ დადებითი გადაწყვეტილება იქნას მიღებული, არის ის, რომ ამ კოლეჯს მხარში უდგას ისეთი მძლავრი პარტნიორი, როგორიცაა სამშენებლო კომპანია ბიქეი ქონსთრაქშენი. აღსანიშნავია, რომ პარტნიორი კომპანიაც ინაწილებს პასუხისმგებლობას ვალეში არსებული კოლეჯის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და მის აღჭურვაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საბჭოსთვის კოლეჯის ადამიანური რესურსი, რომელიც ჩართულია ამ პროცესებში თავისი დირექტორით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურით და სხვა თანამშრომლებით. მათ ნამდვილად ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ასეთი მიმართულების საქმიანობს წარმართვაში და საბჭო ხედავს თუ რა წარმატებას მიაღწია კოლეჯმა მისი დაარსებიდან ამ მოკლე დროში. რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოსთვის ექსპერტების დასკვნა, რომელიც საბჭომ გაიზიარა და დაეთანხმა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 20 ოქტომბრისთვის საბჭოს მიეწოდოს შუალედური ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯის ,,კონსტრუქტ2"-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 9).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტ2" -ში 2.2 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 20 ნოემბერი.

მეთერთმეტე საკითხი: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - თათია გივიშვილი) დაევალა, „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, 2024 წლის 12 აგვისტოს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით გარემოში. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან და შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები.ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის “საექთნი საქმის” მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო. მათ შორის განხილულ იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმები, შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო რესურსის არსებობა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 - კოლეჯმა უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებების მოწესრიგება შესაბამისი ვადების მითითებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასდა, როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც რიგ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში (შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „ოპტიმალ მედი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, ჯეო ჰოეპიტალსი“), კვოტის გაზრდის შემთხვევაში ვადა არ არის განსაზღვრული პროგრამის განხორციელების ვადით, ხოლო ჯეო-ჰოსპიტალთან გაფორმებულ ხელშეკრულებიდან ასევე რ ჩანს, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია კლინიკას და რამდენი ექთანი მოემსახურება პროფესიულ სტუდენტებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №416, 2022 წლის 9 აგვისტო, მუხლი 8). თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯმა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად დაგეგმილი აქტივობების, კერძოდ ხელშეკრულებების მოწესრიგების ბოლო ვადად მითითებულია 2024 წლის 30 ოქტომბერი, რაც

ქსპერტთა ჯგუფის მიერ რელევანტურად ჩაითვალა, აღნიშნული ინდიკატორის (2.2.1.1.) შეფასება, შეიცვალა მეტწილ შესაბამისად და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია.

საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრებმა, რუსუდან გიგაშვილმა, მარიამ ქუჩულორიამ, გიორგი ვეკუამ და ნინო ველთაურმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს: 2 - A სასწავლო გარემო, 2- B სასწავლო გარემო და 2- AC სასწავლო გარემო. კლინიკური სწავლების მოდულების განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „ავერსის კლინიკა “, შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“, შპს „მარნეკორი“, შპს „ოპტიმალ მედი“, შპს „სპინა“, შპს „მზრუნველი ჰოსპიტალი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, ,,შპს მარნეულის ამბულატორია“, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“. ყველა წარმოდგენილ ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში. რიგ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში (შპს „ავერსის კლინიკა“, შპს „ოპტიმალ მედი“, შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“, შპს „ჯეო ჰოეპიტალსი“), კვოტის გაზრდის შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული პროგრამის განხორციელების ვადით, ხოლო ჯეო-ჰოსპიტალთან გაფორმებულ ხელშეკრულებიდან არ ჩანს, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია კლინიკას და რამდენი ექთანი მოემსახურება პროფესიულ სტუდენტებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №416, 2022 წლის 9 აგვისტო, მუხლი 8). აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. თუმცა დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა, დირექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს № 00010656 ბრძანებით დამტკიცებული, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხელშეკრულებების მოწესრიგება დაგეგმილია 2024 წლის 30 ოქტომბრამდე. ექსპერტების შეფასებით აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია ხელშეკრულებების მოწესრიგება, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯს მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია და გამომდინარე აქედან ინდიკატორი 2.2.1.1.შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. „საექთნო განათლება“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 49 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირი, მათი უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმი და ექთანია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ როგორ ასაბუთებდა კოლეჯი პროფესიული სტუდენტების დამატების აუცილებლობას.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში მოკლედ იყო აღწერილი დასაბუთება, ექსპერტებია ზეპირად გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, შესაბამისად ეს დასკვნაში არ არის ასახული, თუმცა კოლეჯი ზღვრული

რაოდენობის გაზრდას ასაბუთებს იმით, რომ არის ძალიან მზარდი მოთხოვნა რეგიონში, ქვემო ქართლში კერძოდ, მარნეულში და არა მარტო მარნეულის კუთხით, არამედ მთელი ქვემო ქართლის კუთხით. ასევე, კადრების მოთხოვნა მაღალია იმ ორგანიზაციების მხრიდან, სადაც კლინიკური სწავლების მოდულებს გადიან სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ, თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 405337880) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 240-ით **(დანართი 10).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „საექთნო საქმის“ პროგრამაზე, 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2 024 წლის 30 ოქტომბერი.

მეთორმეტე საკითხი: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - პაატა ცაგარეიშვილი) დაევალა, „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, 2024 წლის 13 აგვისტოს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით გარემოში. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან და შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის “საბაჟო საქმის” მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო. მათ შორის განხილულ იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგების მექანიზმები, შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
ზოგადი რეკომენდაცია:
რეკომენდებულია დაწესებულებამ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში დროულად ასახოს სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნები/ცვლილებები, მაგალითად 416-ე დადგენილების მოთხოვნები, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება No110/ნ 2024 წლის 24 ივნისი „პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის No42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ინდიკატორი 2.1.1.1 - გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანია, კოლეჯის სახელწოდება არ იყოს შეცდომაში შემყვანი, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია -სასურველია კოლეჯმა იფიქროს სახელის შეცვლაზე, რადგან სახელწოდება - „სამედიცინო კოლეჯი“, წინააღმდეგობაში მოდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “საბაჟო საქმის” განხორციელებასთან და ხელს ვერ შეუწყობს ამ პროგრამით დაინტერესებული პირების მოზიდვას.

ინდიკატორი 2.1.1.3 კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, დაწესებულებამ კონკრეტული პროგრამების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი: პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა

ინდიკატორი 2.1.1.6 ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში დაკონკრეტდეს, კერძოდ ვინ ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (არის ჩანაწერი, რომ პროგრამას ამტკიცებს კოლეჯი) და დებულებასა (დებულების თანახმად პროგრამას ამტკიცებს დირექტორი) და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში აღწერილი საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში.

ინდიკატორი 2.2.1.1. ვინაიდან მოცემულ მომენტში საჯარო სექტორი „პროფესიულ განათლებას“ არ განიხილავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებში და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ ასევე აპლიკანტებს მხოლოდ სრული ზოგადი განათლებით, ამ უკანასკნელთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სასურველია, კოლეჯის მიერ ჩატარდეს რეგიონში არსებული კერძო დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა. ასევე, სასურველია გაფორმდეს მემორანდუმები, რომელთა საფუძველზეც კერძო სექტორის წარმომადგენლები მისცემენ პროფესიულ სტუდენტებს არა მხოლოდ სტაჟირების გავლის, არამედ დასაქმების საშუალებასაც, სწავლის პარალელურად ან სწავლის დასრულების შემდეგ.

ინდიკატორი 2.2.1.2. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, დარგის ყველა მასწავლებელი არის მითითებული ყველა მოდულზე. მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ მათი გამოცდილების გათვალისწინებით მართლაც შეუძლიათ წარმატებით ჩაანაცვლონ ერთმანეთი თუკი რომელიმე მასწავლებელი, გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, ვერ შეძლებს ლექციის ჩატარებას. თუმცა, მეტი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დააზუსტოს კონკრეტულად, თუ რომელი მასწავლებელი რომელ მასწავლებელს შეცვლის საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 უზრუნველყოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საბაჟო საქმე“

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტების მიერ შემოწმდა საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული მატერიალური რესურსის არსებობა, მათ შორის სწავლების პროცესში დასათვალიერებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება, პირადობის მოწმობა და მართვის მოწმობა. შემოწმებამ აჩვენა, რომ დაწესებულებას და პრაქტიკის ობიექტს უზრუნველყოფილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი. კერძოდ, დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა არის 50 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში. პროგრამის დანართში მატერიალური რესურსების შესახებ მითითებულია 25 კომპიუტერი. ვიზიტის დროს

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ დაწესებულება გეგმავს 50 პროფესიული სტუდენტის სწავლებას ორ ცვლაში (AC და B გარემოს გამოყენებით). დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მემორანდუმი გაფორმებული აქვს ერთ პრაქტიკის ობიექტთან - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირთან - შემოსავლების სამსახურთან. შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტი სრულად არის აღჭურვილი პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით და სტუდენტები შეუფერხებლად შეძლებენ პრაქტიკული კომპონენტის გავლას. პირადი საქმეების შესწავლით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგეგმება მათი გადამზადება, დატრენინგება სწავლის პროცესის დაწყებამდე. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ, თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 405337880) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 11),** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

მეცამეტე საკითხი: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში 2024 წლის 12 აგვისტოს(მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N 80) ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შემუშავდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება/ადმინისტრირების საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. შედგა შეხვედრა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სასწავლო საწარმოს წარმომადგენელთან. ასევე შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. ვიზიტის დროს დათვალიერდა საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარიის" სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსი. შესწავლილ იქნა, თუ როგორ ხდება კოლეჯში სასწავლო პროცესის ორგანიზება, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულით მომარაგება, როგორია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები(მათ შორის როგორია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების მიდგომები). ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა მიერ მომზადდა დასკვნის პროექტი, რომლის პასუხად დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა არგუმენტირებული პასუხი(№ 00010675 26/08/2024), რომელშიც კოლეჯი დაეთანხმა ექსპერტების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს და დანართის სახით წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული(№ 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად გადაგმილია სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისი მოდულების მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

გათვალისწინებით, აქტივობის შესრულება დაგეგმილია 15.08.2024 - 30.10. 2024. ვადაში. ექსპერტებმა გაითვალისწინეს კოლეჯის წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და და ინდიკატორი 2.2.1.1 ; 2.4.1.5. შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების განხორციელების უზრუნველსაყოფად

- ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი -მესამე და მეოთხე შედეგი;
- ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა-მეორე, მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია-მესამე და მეოთხე შედეგი;
- ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია-მესამე, მეოთხე,მეხუთე,მეექვსე და მეშვიდე შედეგი.
- ცხოველთა მკურნალობა-სრულად;
- ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები-მეხუთე შედეგი;
- ვეტერინარი ქირურგის ასისტირება-მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე შედეგი;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა-მეორე, მესამე, მეოთხე,მეხუთე და მეექვსე შედეგი.

დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელთან ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი მოდულების შედეგების მიღწევისთვის საჭირო მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების სრულად მიღწევას.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ზოგადი რეკომენდაცია:

რეკომენდებულია დაწესებულებამ კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში დროულად ასახოს სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნები/ცვლილებები, მაგალითად 416-ე დადგენილების მოთხოვნები, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება No110/ნ 2024 წლის 24 ივნისი „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის No42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ინდიკატორი 2.1.1.1 კოლეჯის სახელწოდებაა „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“, განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი პროგრამების განაცხადების გათვალისწინებით რეკომენდებულია კოლეჯმა იზრუნოს სახელწოდების ცვლილებაზეც, რადგან მისი პროგრამების სპექტრი უფრო მრავალპროფილური ხდება ვიდრე მხოლოდ სამედიცინო მიმართულება.

ინდიკატორი 2.1.1.3 გადამუშავდეს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.(იხ.ინდიკატორის აღწერა)

ინდიკატორი 2.1.1.6 -შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის'' დებულების თანახმად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია - კოლეჯის დირექტორი (მუხლი 5 პუნქტი 5,5.) ჩანაწერი პროგრამის დამტკიცების შესახებ არის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც, მუხლი 2 (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)რომლის თანახმად „3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯი.“ რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს ეს ჩანაწერი და მოიყვანოს შესაბამისობაში დებულებაში არსებულ ჩანაწერთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვეტერინარია“

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მუხლი 30 გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია A, B და C გარემოს მახასიათებლები. მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი “30.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.” ამავე დოკუმენტის თანახმად “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი. “ დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა განახლებული “ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია” თუმცა აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტში სრულად მაინც არ არის წარმოდგენილი სრულად ის ფაქტორები, რაც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა საკმარისია ორ ცვლაში მეცადინეობის ჩატარების მიდგომის გათვალისწინებით. კოლეჯის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ პროგრამის დაგეგმვისას, ზღვრული ოდენობის განსაზრვისათვის ითვალისწინებს არა მარტო გარემოს გამტარობას, არამედ მატერიალურ, ადამიანურ თუ სასწავლო რესურსების ოდენობას პროგრამისათვის “ვეტერინარია” გამოყოფილია რამდენიმე გარემო, რომლებიც ერთ ცვლაში იტევს 25 პროფესიულ სტუდენტს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ითხოვს ორ ცვლაში 50 პროფესიულ სტუდენტს. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დათვალიერდა C გარემო (სასწავლო / პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის), რომელიც წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინდ.მეწარმე ა. კ.-სთან .ა.კ. გახლავთ პროგრამის ხელმძღვანელიც. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ოთხი პროფესიული მოდულის განხორციელება. ესენია: ცხოველთა კვება, ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა, პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება, ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია. კოლეჯს არა აქვს უზრუნველყოფილი პროგრამის ყველა მოდულისათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები უნდა გაფორმდეს სხვადასხვა სახეობის ფერმებთან, ვეტერინერულ კლინიკებთან, ცხოველთა სასაკლაოებთან და ვეტერინარულ აფთიაქებთან, რათა სრულად მოხდეს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებულ სასურველ შედეგებზე გასვლა. დაწესებულების დირექტორთან

კომუნიკაციის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს დამატებით ხელშეკრულებების გაფორმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დასკვნის პროექტში აღნიშნული ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა როგორც შეუსაბამო. ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა (დირექტორის ბრძანება № 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებულია მატერიალური რესურსით უზრუნველყოფისათვის სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესწრულებას დაწესებულება გეგმავს სწავლის დაწყებამდე(15.08.2024 - 30.10. 2024.) დაწესებულებას პროგრამაზე „ვეტერინარია“ მოთხოვნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 50. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ კვოტას, თუ სრულად შესრულდება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება მოთხოვნილი კვოტის გათვალისწინებით. ექსპერტების მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, აქვს, თუ არა დაწესებულებას შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომ აღნიშნული პროგრამა განახორციელოს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ხელშეკრულებები გაფორმებულია მეპურეობის ფერმასთან, ქათმების ფერმასთან, ასევე, ვეტ-აფთიაქთან. მისი თქმით, გარკვეული მიზეზების გამო თავის დროზე ვერ მოესწრო აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმება, მოლაპარაკება უკვე შემდგარი იყო, თუმცა გაფორმებული არ იყო ხელშეკრულებები. დაწესებულებამ აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, როდესაც დაწესებულება მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს და გააფორმებს მათთან ხელშეკრულებებს, იქნება, თუ არა საკმარისი მხოლოდ ამ ხელშეკრულებების წარმოდგენაზე დაყრდნობით, ვთქვათ, რომ სწავლის შედეგები მიღწევადია, თუ საჭიროა პრაქტიკის ობიექტების ადგილზე დათვალიერება.

დარგის ექსპერტის განცხადებით, სასურველია ობიექტები ადგილზე იქნას დათვალიერებული. იმდენად მრავალფეროვანი მოდულებია, ერთ დაწესებულებაში ვერ მოხდება ყველას შედეგის დადასტურება, ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი შედეგის დადასტურება შეიძლება მოხდეს ვეტ-აფთიაქში, ზოგიც სამკურნალოში, ამდენად, ყველასთან უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ, თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული თანამშრომლობისთვის და პროფესიონალიზმისთვის. მისი თქმით, აღნიშნული ხელშეკრულებების უმეტესობის გაკეთება დაწესებულებამ ადგილზევე დაიწყო, მაგრამ კოლეჯს მაინც საჭიროდ მიაჩნდა, რომ შესაბამისობის გეგმაში გამოეტანა აღნიშნული პროცედურა და 30 ოქტომბრამდე სრულყოფილად მოეგვარებინა. რაც შეეხება რებრენდინგს,

სწორად აღინიშნა, რომ მისიაში კოლეჯს აქვს მოთხოვნადი კვალიფიკაციის პროგრამების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის „ვეტერინარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 405337880) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვეტერინარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 12).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „ვეტერინარიის“ პროგრამაში, 2.2 და 2.4 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 30 ოქტომბერი.

მეთოთხმეტე საკითხი: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 02 აგვისტოს № MES 7 24 0000939401 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დაწესებულებას სურს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 114 პროფესიულ სტუდენტამდე (50 პროფესიული სტუდენტით გაზრდა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზეზს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამით აპლიკანტების მხრიდან განსაკუთრებით დიდი დაინტერესება. დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დროს უკვე რეგისტრირებული იყო 182 აპლიკანტი. ამასთან, მაღალია დასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 13 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)შეუფერხებლად განხორციელებისათვის მოიძიოს შესაბამისი პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის და გააფორმოს ხელშეკრულება/ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ექსპერტის განცხადებით, შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „ფარმაცია(სააფთიაქო)“ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო

პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. კოლეჯს აქვს: 4 B სასწავლო გარემო 2 A გარემო, 1 A გარემო, 1 A/C სასწავლო გარემო და 3 C გარემო (1 C გარემო -აფთიაქის მოდელით ; 2 C გარემო -გარემოში დამონტაჟებული სპეციალური გამწოვი მოწყობილობა სპეციალური სამუშაო მაგიდით, რომელიც ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. ასევე კონდენციონერი და მაშრობი კარადა.3 C სასწავლო გარემო-ქიმიის ლაბორატორიისთვის, სადაც ლაბორატორიულ სამუშაოებზე შესაძლებელია იმუშაოს 16-მა პროფესიულმა სტუდენტმა. შესაბამისად, ერთდროულად შესაძლებელია 32 სტუდენტის სწავლება სწორად შედგენილი სასწავლო გეგმის, აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით). AC გარემოში განთავსებულია: სამუშაო მაგიდები, სკამები, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით. საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პრაქტიკის ბაზების დათვალიერება ვერ მოხერხდა . პრაქტიკის განმახორციელებელი პირების ონლაინ გასაუბრებისას კი დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა სტუდენტის მიღებაზე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი განისაზღვრება 114 პროფესიული სტუდენტით, რაც შესაბამისობაშია კოლეჯის მატერიალურ რესურსებთან. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები: შპს,,ელთუნი“, ი/მ ,,ლია ჭიღლაძე’’, ი/მ ,,მაია კაბულოვი’’, შპს,,იმპექსი’’. ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული ხელშეკრულებები და განახორციელეს გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: წარმოდგენილი სამი ხელშეკრულება ერთობლივად უზრუნველყოფს მხოლოდ 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება, გასაუბრებით დადგინდა, რომ ცვლებში აქვთ მეტი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა, თუმცა ეს არ ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ასევე არ არის დაზუსტებული მოდულების რომელი შედეგები გადის პრაქტიკის ობიექტებზე, ხელშეკრულებებს არ ახლავს საჭირო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი დანარჩენ ორ ორგანიზაციასთან შპს,,იმპექსი’’და შპს.,,ფარმა-2019“ გაფორმებულია მემორანდუმი, აღნიშნულ მემორანდუმებში საერთოდ არ არის მითითებული მოდულების დასახელება, არც თანმდევი პარამეტრები. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და ინდიკატორი 2.2.1.1 შეაფასა როგორც შეუსაბამო. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული(№ 00010656 26/08/2024) ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მიზნით შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად დაგეგმილია სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებების გაფორმება, შესაბამისი მოდულების მოთხოვნებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, აქტივობის შესრულება დაგეგმილია 15.08.2024 - 30.10. 2024. ვადაში. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია(სააფთიაქო)შეუფერხებლად განხორციელებისათვის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის მოძიება და მათთან ხელშეკრულების გაფორმება, ინდიკატორი 2.2.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვებიი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 405337880) დანართით განსაზღვრულ „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 114-ით **(დანართი 13).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 9 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამაზე, 2.2 კომპონენტში. მონიტორინგი ს ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 30 ოქტომბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 18:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ. N12
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	132
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ. N12
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A1)
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რეაქტიული თვითმფრინავების ოპერატიულ ტექნიკურ მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	აეროდრომის ექსპლუატაცია და მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აეროდრომის ექსპლუატაციასა და მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.3)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	126,5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	126,5

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურება (B3)
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი თვითმფრინავების ტექნიკურ მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	10
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

დანართი 9

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ვალე, სტალინის ქ. 18
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

დანართი 10

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	240
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 11

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

დანართი 12

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 13

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	114
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153